გული

მოკვდა. დის ნაზს ხელს არ გაურსწორებია სასთუმალი; იდუმალის მწუ- ხარებით არ შემოუხედავს ავადმყოფის ოთახში სატრფოს თვალებს: ნაცნობებს არ მოუკითხავთ; უკანასკნელ წამს შენდობა არ მიუღია იმ მშვიდ, წყნარ ადამიანისაგან, რომლის ძალა აღარ სწამდა, მაგრამ დამამშვიდებელი სიტყვების მისგან გაგონება მაინც უნდოდა: დედას არ დაუყრია ცხარე ცრემლები.

მოკვდა უცხოეთში.

-- ათასი სნეულებით იყო ავად, არავითარმა წამალმა არ იმოქმედა,

-- იმართლებდა თავს ამხანაგთა წინაშე ექიმი. ცხედარი გაჭრეს. პროფესორმა ხელები ჩამოუშვა და გაკვირვებულმა წამოიძახა: -- შეხედეთ, ბატონებო, ეს რა ამბავია?!

ერთმანეთს შესცქეროდენ.

- ბატონებო, გული, გული, სადღაა?

- გულის მაგიერ ფერფლი-ღა დარჩენილიყო.

დეპეშით გაგებული უბედურებისაგან თავზარდაცემული დედა შევიდა საყვარელ შვილის ობლათ დატოვებულ ოთახში. ქვითინებდა: ასე გამომიმეტე ქვრივი ოხერი? სადაა შენი კარგი გული, ამდენის ვაით და უით რომ ჩაგიდგი საგულეში?

კედლიდან პატარა რუქამ გასცა პასუხი:

-- მე დავაჭკნე!

-- მე დავწვი! --- გახმაურდა სურათი მაგიდაზე.

სიტყვები არავის გაუგონია. 1908 წ.